

## საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
  - 1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
  - 1.2. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
  - 1.3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
2. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:
  - 2.1. სამშენებლო მექანიკა (1 ვაკანსია-პროფესორი)
  - 2.2. იმუნოლოგია (1 ვაკანსია-პროფესორი; 1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი)
  - 2.3. ინჟინერიის საფუძვლები (1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი;)
  - 2.4. მოლეკულური ბიოლოგია (1 ვაკანსია ასისტენტ- პროფესორი)
  - 2.5. აგრონომია (1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი )
3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2017 წლის 11 მაისიდან - 2017 წლის 16 მაისის ჩათვლით.**
4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
  - 4.1. ბიოგრაფია (CV);
  - 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
  - 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
  - 4.4. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
  - 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/70992501179461>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2017 წლის 17 მაისიდან - 2017 წლის 22 მაისის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2017 წლის 23 მაისიდან - 2017 წლის 29 მაისის ჩათვლით**.

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 3 წლის ვადით.

**9. საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსი

ვებ-გვერდი: [www.agruni.edu.ge](http://www.agruni.edu.ge)

ელ.მისამართი: [Vacancy@agruni.edu.ge](mailto:Vacancy@agruni.edu.ge)